6 მარტი

ქ. წალენჯიხა
2023 წელი

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N2**

2023 წლის 6 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: დათა კუკავა, გელა აბულაძე, ირაკლი სალია, ეკა სამუშია.

დაწყების დრო: 11:00-სთ.
დასრულების დრო: 11:15-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
პროექტის წარმომდგენი: **ლაშა კვარაცხელია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის). ანგარიში საკრებულოს წევრებს გააცნო სამსახურის უფროსმა ლაშა კვარაცხელიამ. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია გამოვლენილი სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებისა და დაჯარიმებული იურიდიული და ფიზიკური პირების თაობაზე. მანვე ისაუბრა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზედამხედვეობის სამსახურის მიერ განხორციელებულ მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოების მონიტორინგზე.

საკრებულოს წევრების მიერ, წამოიჭრა პრობლემები, როგორიცაა გარე ვაჭრობების მოუწესრიგებლობა, საგზაო ნიშნების არარსებობა

მუნიციპალიტეტში, მაღაზიებთან არსებული სანაგვე ურნებზე კატასტროფული მდგომარეობა, უხარისხო გზების დაგება, დენის უკანონო მიერთებები, რომელზეც ზედამხედველობის სამსახურს არ ჰქონია შესაბამისი რეაგირება. საკრებულოს წევრის თემურ ქარდავას თქმით, სამსახურის გაწეული საქმიანობით არ არის კმაყოფილი, რადგან მართებულად მიაჩნია ამ სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაო აისახოს სამართალდარღვევების გამოვლენაში და მათზე შესაბამის რეაგირებაში.

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დამაკმაყოფილებლად შეაფასეს (ეკა სამუშიამ უარყოფითად შეაფასა) და წარმატებები უსურვეს.

ამით საკრებულოს კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /თემურ ქარდავა/